გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 198

2024 წლის 13 დეკემბერი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის ქონების სს „სილქნეტისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში 2024 წლის 6 სექტემბერს (N 10/202425032-20 და N 10/202425035-20) შემოსულია სს „სილქნეტის“ (ს/ნ 204566978) წერილები, რომელშიც 5 წლის ვადით, მოთხოვნილია, 69 ერთეული და 5 ერთეული გარე განათების ბოძის იჯარის ფორმით გადაცემა (იჯარის ხელშეკრულებების გაგრძელება), ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მონტაჟისთვის.

აუდიტური კომპანიის მიერ 2024 წლის 17 ოქტომბერს N332-ქ გარე განათების კონსტრუქციების (გარე განათების ბოძები - ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის განთავსების მიზნით) საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, 1) ქ. გორში, 66.00.794 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობიდან 3 ერთეულ გარე განათების ბოძზე (მისამართი: შინდისის გზატკეცილი) საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 100,00 (ასი) ლარით; 2) ქ. გორში, 66.00.803 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობიდან 20 ერთეულ გარე განათების ბოძზე (მისამართი: ცხინვალის გზა\ტკეცილი) საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 670,00 (ექვსას სამოცდაათი) ლარით; 3) ქ. გორში, 66.00.736 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობიდან 15 ერთეულ გარე განათების ბოძზე (მისამართი: სუხიშვილის ქუჩა) საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 500,00 (ხუთასი) ლარით; 4) ქ. გორში, 66.00.740 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობიდან 19 ერთეულ გარე განათების

ბოძზე (მისამართი: მშვიდობის გამზირი) საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 630,00 (ექვსას ოცდაათი) ლარით; 5) ქ. გორში, 66.00.814 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობიდან 2 ერთეულ გარე განათების ბოძზე (მისამართი: ალ. პუშკინის ქუჩა) საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 70,00 (სამოცდაათი) ლარით; 6) ქ. გორში, 66.00.741 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობიდან 3 ერთეულ გარე განათების ბოძზე (მისამართი: თამარ მეფის ქუჩა) საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 100,00 (ასი) ლარით; 7) ქ. გორში, 66.00.714 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობიდან 7 ერთეულ გარე განათების ბოძზე (მისამართი: ჭავჭავაძის ქუჩა) საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 230,00 (ორას ოცდაათი) ლარით; 8) ქ. გორში, 66.00.803 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობიდან 5 ერთეულ გარე განათების ბოძზე (მისამართი: ცხინვალის გზატკეცილი) საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 170,00 (ას სამოცდაათი) ლარით;

გორის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული გარე განათების ბოძების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება და მათი დროებითი სარგებლობის უფლებით გაცემა ბიუჯეტს შეავსებს გარკვეული ოდენობის თანხით.
გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია ზემოაღნიშნული ქონების, სს „სილქნეტისთვის" (ს/ნ 204566978) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემა, რისთვისაც საჭიროა „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად, საჭიროა განისაზღვროს ჯერ ქონების საწყისი საპრივატიზებო ფასი, შემდეგ წლიური საიჯარო ქირის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა" და „დ.დ" ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, 1) შინდისის გზატკეცილზე მდებარე 66.00.794 საკადასტრო კოდზე არსებული 3 ერთეული გარე განათების ბოძი; 2) ცხინვალის გზატკეცილზე მდებარე 66.00.803 საკადასტრო კოდზე არსებული 20 ერთეული გარე განათების ბოძი; 3) სუხიშვილის ქუჩაზე მდებარე 66.00.736 საკადასტრო კოდზე არსებული 15 ერთეული გარე განათების ბოძი; 4) მშვიდობის გამზირზე მდებარე 66.00.740 საკადასტრო კოდზე არსებული 19 ერთეული გარე განათების ბოძი; 5)ალ. პუშკინის ქუჩაზე მდებარე 66.00.814 საკადასტრო კოდზე არსებული 2 ერთეული გარე განათების ბოძი; 6) თამარ მეფის

ქუჩაზე მდებარე 66.00.741 საკადასტრო კოდზე არსებული 3 ერთეული გარე განათების ბოძი; 7) ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე 66.00.714 საკადასტრო კოდზე არსებული 7 ერთეული გარე განათების ბოძი და 8) ცხინვალის გზატკეცილზე მდებარე 66.00.803 საკადასტრო კოდზე არსებული 5 ერთეული გარე განათების ბოძი, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ხელშეკრულებით გადასცეს სს „სილქნეტს" (ს/ნ 204566978), ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მონტაჟის მიზნით.

2. ა) ქ. გორში, 66.00.794 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობიდან 3 ერთეულ გარე განათების ბოძზე (მისამართი: შინდისის გზატკეცილი) საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 100,00 (ასი) ლარით;

ბ) ქ. გორში, 66.00.803 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობიდან 20 ერთეულ გარე განათების ბოძზე (მისამართი: ცხინვალის გზატკეცილი) საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 670,00 (ექვსას სამოცდაათი) ლარით;

გ) ქ. გორში, 66.00.736 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობიდან 15 ერთეულ გარე განათების ბოძზე (მისამართი: სუხიშვილის ქუჩა) საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 500,00 (ხუთასი) ლარით;

დ) ქ. გორში, 66.00.740 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობიდან 19 ერთეულ გარე განათების ბოძზე (მისამართი: მშვიდობის გამზირი) საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 630,00 (ექვსას ოცდაათი) ლარით;

ე) ქ. გორში, 66.00.814 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობიდან 2 ერთეულ გარე განათების ბოძზე (მისამართი: ალ. პუშკინის ქუჩა) საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 70,00 (სამოცდაათი) ლარით;

ვ) ქ. გორში, 66.00.741 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობიდან 3 ერთეულ გარე განათების ბოძზე (მისამართი: თამარ მეფის ქუჩა) საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 100,00 (ასი) ლარით;

ზ) ქ. გორში, 66.00.714 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობიდან 7 ერთეულ გარე განათების ბოძზე (მისამართი: ჭავჭავაძის ქუჩა) საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 230,00 (ორას ოცდაათი) ლარით;

თ) ქ. გორში, 66.00.803 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობიდან 5 ერთეულ გარე განათების ბოძზე (მისამართი: ცხინვალის გზატკეცილი) საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 170,00 (ას სამოცდაათი) ლარით;

3. წლიური საიჯარო ქირა 74 (სამოცდათოთხმეტი) ერთეულ გარე განათების ბოძისთვის განისაზღვროს 4440 (ოთხიათას ოთხას ორმოცი) ლარის ოდენობით.

4. იჯარის ფორმით გადაცემის ვადა განისაზღვროს 5 (ხუთი) წლის ვადით.

5. მოიჯარეს ზემოაღნიშნული 74 (სამოცდათოთხმეტი) ერთეული გარე განათების ბოძი გადაეცემა ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების განთავსების მიზნით.

6. გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს იჯარის

ხელშეკრულება (რაც 2 (ორი) კვირით ადრე ეცნობება მოიჯარეს). იჯარის ფორმით გადაცემული ქონება გამოთავისუფლებულ იქნას „მოიჯარის" მიერ საკუთარი ხარჯებით.

7. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

8. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით რაზმაძე